**მაგისტრობის აპლიკანტთა ანკეტური მონაცემების მართვის ელექტრონული სისტემა (რეგისტრაციის ბაზა)**

მაგისტრობის აპლიკანტთა ანკეტური მონაცემების მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით მაგისტრობის მსურველი აპლიკანტი რეგისტრაციას გაივლის ელექტრონული სახით.

ელექტრონული რეგისტრაცია მიმდინარეობს სამ ეტაპად:

I ეტაპი: პერსონალური ინფორმაციის შევსება;

II ეტაპი: ფაკულტეტებსა და პროგრამებზე რეგისტრაცია;

III ეტაპი: წესებსა და პირობებზე თანხმობის განცხადება.

რეგისტრაციის დაწყებამდე აუცილებლად მზად უნდა გქონდეთ ყველა ასატვირთი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგისტრაციას ვერ გაივლით. **არასწორად ატვირთული დოკუმენტის შემთხვევაში რეგისტრაცია გაუქმდება! არასწორი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება აპლიკანტს!** ასატვირთი დოკუმენტების სია განსხვავებულია პროგრამების მიხედვით.

აუცილებელი დოკუმენტების სია:

- პირადობის მოწმობის ასლი (.pdf ფაილი)
- ფოტო (.jpg ფაილი)
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჟების შემთხვევაში) (.pdf ფაილი)
- დიპლომის ასლი ან ცნობა კვალიფიკაციის შესახებ (.pdf ფაილი)
- საგამოცდო ბარათის ასლი (.pdf ფაილი)

**დამატებითი დოკუმენტები განსხვავებულია პროგრამების მიხედვით და ინფორმაცია მოგეწოდებათ პროგრამაზე რეგისტრაციის დროს, ან შეგიძლიათ, იხილოთ საიტზე.**

**I ეტაპი: პერსონალური ინფორმაციის შევსება;**

პირადობის მოწმობის ველში საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში ჩაიწერება პირადობის მოწმობის 11 ნიშნა ნომერი, უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის ნომერი (მაგ. XXX123456).

**ყურადღება:** ერთი პირადობის ნომრის საშუალებით აპლიკანტი რეგისტრირდება მხოლოდ ერთხელ!




დაბადების თარიღის ველში ჩაიწერება აპლიკანტის დაბადების თარიღი შემდეგი ფორმატით: დღე/თვე/წელი.



სახელის ველში ჩაიწერება აპლიკანტის სახელი ქართულ ენაზე პირადობის მოწმობის მიხედვით.




გვარის ველში ჩაიწერება აპლიკანტის გვარი ქართულ ენაზე პირადობის მოწმობის მიხედვით.




მოცემულ ველში ჩაიწერება აპლიკანტის სახელი ლათინურად პირადობის მოწმობის მიხედვით.




მოცემულ ველში ჩაიწერება აპლიკანტის გვარი ლათინურად პირადობის მოწმობის მიხედვით.




პერსონალური ელ-ფოსტის ველში აპლიკანტი უთითებს მხოლოდ აქტიური ელ-ფოსტის მისამართს. აღნიშნულ ელ-ფოსტაზე მიიღებთ უნივერსიტეტისგან რეგისტრაციის პროცესის შესახებ სხვადასხვა ტიპის შეტყობინებებს.




პირადობის მოწმობის მოქმედების ვადის ველში მიუთითეთ პირადობის მოწმობის ან პასპორტის მოქმედების ვადა შემდეგი ფორმატით: დღე/თვე/წელი.




პირადობის მოწმობის ასლის ველში აიტვირთება პირადობის მოწმობის ასლი მხოლოდ .**pdf** ფორმატში, უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

პირადობის მოწმობის ასლი *

აირჩიეთ ფაილი | არჩევა

უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი

სქესის ველში აირჩიეთ თქვენი სქესი:

სქესი *

აირჩიეთ სქესი ▾

აირჩიეთ სქესი
მამრობითი
მდედრობითი

ვაჟების შემთხვევაში სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის (მიწერის მოწმობის), სამხედრო ბილეთის ან კომისარიატიდან ცნობის ასლის ველში აპლიკანტი ტვირთავს შესაბამის დოკუმენტს **.pdf** ფაილის სახით:

მიწერის მოწმობის, სამხედრო ბილეთის ან კომისარიატიდან ცნობის ასლი *

აირჩიეთ ფაილი | არჩევა

ატვირთეთ მიწერის მოწმობის, სამხედრო ბილეთის ან კომისარიატიდან ცნობის ასლი .pdf ფაილის სახით

მოქალაქეობის ველში ავტომატურად ფიქსირდება საქართველო, უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მოხდება შესაბამისი ქვეყნის მითითება სიიდან არჩევის საშუალებით:

მოქალაქეობა *

საქართველო ▾

აირჩიეთ მოქალაქეობა

ფოტოს ველში უნდა ატვირთოთ 3x4 ფორმატის, **jpg** ფაილის სახით.

ფოტო *

აირჩიეთ ფაილი | არჩევა

ატვირთეთ სურათი 3X4 ფორმატის სახით, .jpg ფაილის სახით

იურიდიული და ფაქტიური მისამართის ველში აპლიკანტმა უნდა დაიცვას შემდეგი თანმიმდევრობა:

**ქვეყანა, რეგიონი, რაიონი, ქალაქი/სოფელი, მისამართი**

სწორი მისამართის ჩაწერის ფორმაა:

საქართველო, მხ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევი, გლდანის X მკრ. კორპუსი X, ბინა X.

საქართველო, გურია, ლანჩხუთი, სოფ. ახალსოფელი

მისამართის აღნიშნული ფორმატით შეყვანა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ასევე სისტემიდან არჩევის საშუალებით.

აპლიკანტს შეუძლია, მისამართის ველში ჩაწეროს მაგ.: ახალსოფელი, სისტემა შესთავაზებს აღნიშნული სოფლის სხვადასხვა მდებარეობებს, რომლიდანაც შეარჩევს შესაბამისს.




თუ ჩამოშლადი სია დიდია და ვერ ირჩევთ შესაბამის სოფელს სიიდან, შეიძლება, ჩაწეროთ შემოკლებით:

მაგ.: ყვარ ახალსოფ

სისტება შემოგთავაზებთ აირჩიოთ სიიდან შემდეგი ჩანაწერი:




იგივე სახით შეგიძლიათ, შეავსოთ ფაქტიური მისამართი:




მობილური ნომრისა და სახლის ტელეფონის ველებში უთითებთ აქტიური ტელეფონის ნომერს. მითითებულ ნომრებზე მიიღებთ უნივერსიტეტისგან რეგისტრაციის პროცესის შესახებ სხვადასხვა ტიპის შეტყობინებებს.




უმაღლესი სასწავლებლის დასახელების ველში აპლიკანტი უთითებს იმ უნივერსიტეტის დასახელებას, სადაც მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. გაითვალისწინეთ, რომ არაავტორიზებული უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებების მითითების შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოთ აკრედიტაციის ცნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან. ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სია შეგიძლიათ, იხილოთ შემდეგ მისამართზე:

http://mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo

ნებისმიერი სხვა უნივერსიტეტის არჩევის ან მითითების შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა წარმოადგინოთ აკრედიტაციის ცნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან.




იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის დასახელებას სიიდან ვერ ირჩევთ, შეტყობინება უნივერსიტეტის დასახელების დამატების შესახებ გამოაგზავნეთ ელ-ფოსტაზე: masters.registration@iliauni.edu.ge

სასწავლებლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ტიპის ველიდან აპლიკანტი ირჩევს იმ დოკუმენტის ტიპს, რომელსაც შემდგომში წარმოადგენს.




სასწავლებლის დამთავრების თარიღის ველში აპლიკანტი უთითებს კვალიფიკაციის მინიჭების / ოქმის / გადაწყვეტილების თარიღს შემდეგი ფორმატით: დღე/თვე/წელი.




დიპლომის ან ცნობის ნომრის ველში აპლიკანტი უთითებს დიპლომის ან ცნობის ნომერს, რომლის საფუძველზეც აპლიკანტს მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია.




დიპლომის ან ცნობის გაცემის თარიღში აპლიკანტი უთითებს დიპლომის ან ცნობის გაცემის თარიღს, შემდეგი ფორმატით: დღე/თვე/წელი.

დიპლომის ან ცნობის გაცემის თარიღი *

დიპლომის ან ცნობის გაცემის თარიღი

მიუთითეთ დიპლომის ან ცნობის გაცემის თარიღი (დ./თ./წ.)

დიპლომის ასლი ან ცნობა კვალიფიკაციის შესახებ ველში აპლიკანტი ტვირთავს **.pdf** ფაილის სახით დიპლომის ასლს, ან - შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ ცნობას შესაბამისი ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებულ უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი. **უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში დიპლომთან ერთად აპლიკანტი ტვირთავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტს.**

დიპლომის ასლი ან ცნობა კვალიფიკაციის შესახებ *

აირჩიეთ ფაილი | არჩევა

ატვირთეთ დიპლომის ასლი ან ცნობა კვალიფიკაციის შესახებ.უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი. pdf ფაილის სახით

მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს."

დიპლომის ზემოთ აღნიშნულ ვადებში წარმოუდგენლობის შემთხვევაში ბათილად იქნება ცნობილი პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანება (ამოირიცხებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სიიდან).

მინიჭებული ხარისხი/სპეციალობა (Major) ველში აპლიკანტი უთითებს ხარისხის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მინიჭებული აქვს ძირითად სპეციალობაში.

მინიჭებული ხარისხი/სპეციალობა (Major) *

მინიჭებული ხარისხი/სპეციალობა (Major)

მინიჭებული აკადემიური ხარისხი/სპეციალობა (Major). მაგ ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი, სოციოლოგია.

მინიჭებული ხარისხი/სპეციალობა (Minor) ველში აპლიკანტი უთითებს ხარისხის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მინიჭებული აქვს დამატებით სპეციალობაში, ხოლო, მისი არქონის შემთხვევაში მოცემულ ველში წერს „არ მაქვს“.

მინიჭებული ხარისხი/სპეციალობა (Minor) *

მინიჭებული ხარისხი/სპეციალობა (Minor)

მინიჭებული აკადემიური ხარისხი/სპეციალობა (Minor). ასეთის არსებობის შემთხვევაში

GPA ან საშუალო ქულის ველში აპლიკანტი უთითებს ინფორმაციას GPA ან საშუალო ქულის შესახებ, თუ შესაბამის პროგრამაზე რეგისტრაცია ამას მოითხოვს.

GPA ან საშუალო ქულა

GPA ან საშუალო ქულა

მიუთითეთ პროგრამის მოთხოვნის შემთხვევაში

სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდის ველში აპლიკანტი წერს მაგისტრანტობის კანდიდატის სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდს.

სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი *

სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი

მიუთითეთ მაგისტრანტობის კანდიდატის სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი

გამოცდის საგამოცდო ბარათის ასლის ველში აპლიკანტი ტვირთავს საერთო სამაგისტრო გამოცდის საგამოცდო ბარათის ასლს .**pdf** ფაილის სახით.

გამოცდის საგამოცდო ბარათის ასლი *

აირჩიეთ ფაილი | არჩევა

ატვირთეთ საერთო სამაგისტრო გამოცდის საგამოცდო ბარათის ასლი .pdf ფაილის სახით

გაქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობს ველში აპლიკანტი ირჩევს შესაბამის სტატუსს.

გაქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობა *

აირჩიეთ პასუხი ▾

აირჩიეთ პასუხი
კი
არა

„კი"-ს არჩევის შემთხვევაში აპლიკანტს შეუძლია დააკონკრეტოს, რა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს, ან რა ნიშნით ფლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს.

დაწვრილებით *

დააკონკრეტეთ რა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება გაქვთ ან რა ნიშნით ფლობთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს

II ეტაპი: ფაკულტეტებსა და პროგრამებზე რეგისტრაცია;

გამოცდის ტიპის ველში აპლიკანტი უთითებს „ტესტის ტიპის გარეშე“ რეგისტრაციას




შემდეგ ეტაპზე აპლიკანტი ირჩევს ფაკულტეტს,




ხოლო, შემდგომ - შესაბამისი ფაკულტეტის პროგრამების სიიდან სასურველ პროგრამას:




გამოვა ინფორმაცია არჩეული პროგრამა მოითხოვს თუ არა დამატებითი ფაილების ატვირთვას:

მაგ.:




აპლიკანტი შესაბამისი თანმიმდევრობით და დასახელებით ტვირთავს ფაილებს, **.pdf** ფორმატის სახით.




ყურადღებით ატვირთეთ თითოეულ ველში საჭირო ფაილები.

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს სურს სხვა ფაკულტეტზე/პროგრამაზე განაცხადის გაკეთება, „დამატების“ ღილაკის საშუალებით აგრძელებს რეგისტრაციას.




**ყურადღება! როგორც თავში აღვნიშნეთ, ერთი პირადობით ორჯერ ვერ დარეგისტრირდებით! რეგისტრაციის დაწყების დროს მიუთითეთ სასურველი ფაკულტეტები და პროგრამები.**

პროგრამებზე რეგისტრაცია შეზღუდული არ არის.

**III ეტაპი: წესებსა და პირობებზე თანხმობის განცხადება.**

ბოლო ეტაპზე აპლიკანტი ეთანხმება რეგისტრაციის წესსა და პირობებს, რომელსაც ადასტურებს ხელმოწერით და განაცხადის გაგზავნით:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში თქვენს მიერ წარმოდგენილი განაცხადი "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. გაცნობებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მხრიდან დამუშავდება თქვენთან სახელშეკრულებო, მათ შორის სასწავლო ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის. რა დროსაც შესაძლოა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში მოხდეს მათი ნაწილის გასაჯაროება ან მესამე პირებისთვის გადაცემა.

თქვენს მიერ გამოგზავნილი განაცხადი შესაძლოა არ იქნას დაკმაყოფილებული. იმ შემთხვევაში თუ ეთანხმებით ზემოთ აღნიშნულს, გთხოვთ შეავსოთ თქვენი განაცხადი.




ელ. ფოსტაზე მიიღებთ რეგისტრაციის დამადასტურებელ შეტყობინებას და **რეგისტრაციის კოდს.**

**მაგისტრანტობის კანდიტატთათვის რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდი გამოიყენება გამოცდების საბოლოო შედეგების ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით.**

**ტექნიკური კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ:** masters.registration@iliauni.edu.ge